უა ღამე ახლოვდებოდა... მთელი სოფელი სიძნელით იყო მოცული. მხოლოდ ერთს განტალკევებულათ მდგომ პატარა ქოხში, იქ, ქუჩის განაპირას, კიდევ მოსიანდა მკრთალი სინათლე. ქონის პატარა სანთელი ენთო იმ ქოხში... და ეს პატარა სანთელი მარტოდ-მარტო ებრძოდა შავს წყვდიდადს. მაგრამ იმ იმან ვერ შესძლო უთანასწორო ბრძოლა და ეხლა ოდნავ-და ბჟუტავს... ოქროს-ფეროვანი ალი მისი თრთის და კანკალებს... ოთაბში ავათმყოფი იშვა და სიკვდილის ბრჭყალებს ებრძოდა... სიკვდილი-კი თავისი ბასრი ცელით თავს დასტრიალებდა საკოდავ ქალს და სულს უხუთავდა... ავალმყოფის საწოლთან მაგიდა იდგა, რომლის წინ იჯდა ფერწასული, გაშხდარი რეა წლის ბავში, და დაღონებული ცას შესცეკროდა... ხელები მაგიდაზე დაებჯინა... გაუნძრევლათ იჯდა, გაჩუმებული, თითქოს ქანდაკებააო... მხოლოდ მაშინ, როდესაც ავათმყოფი დრო გამოშვებით დაიკვესებდა, მაშინ ბავში იქითმინი ბრუნებდა თავის გამხდარს, მაგრამ ლამაზ სახეს და ნაზის ხმით ეკითხებოდა:

- დედი, ძალიან გტკივა.
- ოჟ, ძალიან.

ბიჭიკო-კი ნაზად უსვამდა ხელს სახეზე და ეუბნებოდა:

— ნუ გეშინიან დედი, მორჩები და ტკივილიც გაივლის. ამის შემდეგ ის კვლავ მოიბრუნებდა ხოლმე პირს და კვლავ ცას შესცეკროდა... ცაზე ვარსკვლავნი ბრჭყალებდენ, კამ-



კამებდენ, თითქოს მას უცინდენო... ბავში უშნერდა ისათ
და თვალს ვეღარ აშორებდა... იმისთვის ხომ ესენი ვარსკე-
ლავნი არ იყვენ... არა... მშენიერი სათმაშოები, რომელ-
ნიც ესე უყვართ. პატარა ბავშებს... ერთი ვარსკელავი შეინ-
რა, გაგორდა და, რა დასტოვა ოქროს კვალი ცის კაბალონზე,
ცას მოსწყდა და ლამის წყველიალში გაჰქრა, მიიმალა. ბავში
შეხედა, თითქოს თავის დღეში არ ენახაო ამისთანა სურათი
და სიმოვნების ნიშნალ გილიმა...

— სწორედ ეხლა! — წაიჩურჩულა იმან...

ის ფიქრობდა, რომ ეხლა სხვა ვარსკვლავებიც მოსწყდებიან კას და მაშინ მოხდება ის, რაც მას სრულიადაც არ უნახავს, გაიღიმა იმიტომ, რომ დილით ის ელაპარაკებოდა თავის სკოლის ამხანვებს, და ერთმა მათგანმა უთხრა, „ყოველთვის შეაღამისას, ქრისტეს შობის წინა დღეს, ცა გაიხსნება... სანამდი ცა კვლავ შეიკვრება, უნდა ისურვო რამე და ეს სურვილი უსათუოდ ასრულდება“. ყველა ბავშები პირებდენ შეაღამის მოცდას...

— მე ოქროს ცხენს ვისურვებ, თქვა ერთმა.

— მე მეტის ტანისამოს.

— මෙයි වට්ටුවේ.

— მე ხმალს მარგალიტით მოკედილს.

მხოლოდ პატარა ბიჭიკო იღვა გაჩუმებული.

— შენ რალას ისურვებ, კითხეს მეგობრებში.

— მე .. მე მინდა, რომ ლეგა ჩემი კარგათ გახდეს...

იმას მართლაც და არ ჰქონდა იმაზე უძლიერესი სურ-

საცოდავი დედა! ორი თვემ ლოგინად არის ჩავარდნი-
ლი, იტანჯება და არავინ ჰყავს იმას მოშველები, უკრი უ-
დოს, წყლულები დაუძინს, დამშვიდოს, პატარა ბიჭუკელას
გარდა; მხოლოდ მეზობელი ქალი, ანა, მოდიოდა ყოველ-დღე
და საჭმელიც მოჰქონდა... ბავში გიჩუმებული ზის მაგიდასთან,
ცას შესუქერის, შესტრფის, უკდის, როდის გიასსნება... ხვალ
შობაა ქრისტესი და დღეს შეუა ღამე, რომ დადგება უნდა
უსათუოდ გაიხსნას... თან პირებრობდა, როგორის სიტყვებით
გამოიერქვა თავის გულის წადილი, სურვილი .. ჩქარა უნდა
სთქვას, თორემ ცა მაშინავე შეიკრის...

შობის წინა ღამეს.

— ღმერთო მოარჩინე დედა-ჩემი... აი ასე იტყვის... მაშინ რასაკირველია, ღმერთს შეეცოდება, არ მოუნდება ბრჭივოს ობლათ დარჩენა და მოარჩენს საცოლავ დედას... დედაც ლოგინილან წამოლგება... ასეთი სევდით მოცული და მოწყენილი კი არ იქნება... არა... მხიარული ძალიან მხიარული! ხელში აიყვანს თავის ბიჭუკელას, მოუალერსებს თავის პატარას და სიმღერასაც, ტკბილ, შეუდარებელ სიმღერასაც უმღერს.

დედა, როგორც წინად, შეუკერავს იმას ლამაზს ტანისამოსს რომ ისე დაფლეჯილი და დაგლეჯილი აღარ იაროს, როგორც ეხლა დაღის.

— დედი, ნაზის ხმით დაუქახა პატარამ...

— რა გინდა, შვილო?

— მალე, სულ მალე მორჩები დედი,— სთქვა ბიჭუკელამ, რაღაც მორიდებით, მაგრამ ის კი აღარ უთქვას თუ ვისი წყალობით მორჩება, უნდოდა ჯერ ღმერთისთვის ეთხოვნა დედის მორჩენა და ხვალ როცა დედა უკვე ჯანსაღი და მხიარული გაიღვიძებდა, მაშინ უამბობდა ის, თუ როგორ უცდიდა ცის გახსნას; უცდიდა მოუთმენლათ, და როგორის სიტყვებით შესთხოვდა ღმერთს დედის მორჩენას...

სანთელი უკანასკნელიათ შეებრძოლა დამის წყვდიადს და ჩაპერა. ოთახში სიბნელე დამყარდა... პატარას ჯერ შეეშინდა, მაგრამ მაშინათვე ფანჯრისკენ მობრუნდა და ცის დაუწყო ცქერა.

— აი კიდევ მოსწყდა რამდენიმე ვარსკვლავი — ეხლა ცაგაისნება... წაიჩურჩულა ბიჭმა. უცდიდა, უცდიდა მოუთმენლად მოსწყდებიან თუ არა სხვა ვარსკვლავებიც... ისინი კი კელავ კამკამებდენ, ცელქობდენ, იცინოდენ ..

— ღმერთო მოარჩინე დედა-ჩემი — კვლავ გაიმეორა, პატარამ ლოცვა, რომ არ დავიწყებოდა...

— დაიძინე! — ნელის ხმით იქვა ავალყოფმა, რა შეატყო, რომ პატარას ჯერ არ სძინავს.

— შენ დაიძინე დედა, და მერე მეც...! მიუგო იმან.

კარში ვიღაცამ დაუსტვინა... ეს დამის დარაჯი იყო, მეორე დარაჯს ხმას აძლევდა... მეორემაც სტვენით უპასუხა... მერე კვლავ სიჩუმე ჩიმოვარდა.

— ეხლა მალე გაისტნება' — წამოიძახა პატარამ და კვლავ თავისი ლოცვა გაიმეორა, თავი დაუშშიმდა და ძირს მიიწვევდა... თვალებს კი ძლივს ახელდა: „ღმერთო მოარჩინე დედა-ჩემი... ჩურჩულებდა ის, თითქოს ვაკეეთილს ზეპირობდა... თავი კი მძიმედ ქონდა.

უცემ ცაზე ვარსკვლავნი გაძექრენ.. თოოქოს შავი საბანი გადაეფარათო... შორს-კი სინათლე მოსჩანდა, დიადი სინათლე და რაც უფრო ახლო მოდიოდა ეს სინათლე, მისი სიღიადე უფრო ნათლად სჩანდა... დაბნელებულ ოთაშიაც წემოიხედა და გაანათა ოთახი.. ერთბაშად ისეთმა ბრჭყვიალა სხივმა გაისრიალა რომ, ბავშვს თვეოლები დაუბრძანა... „ცა ვაიხსნა!“ გაიფიქრა ბავშვა და ხმა-ხალლად წარმოსოთქვა ზეპირად ნასწავლი სიტყვები. „ღმერთი! შენ მოარჩინე დედანები!... ეს რომ თქვა სინათლე გაქრა და სოფელი ისევ სიპერელემ მოიცავა... ეხლა ბავშვა ნათლად დაინახა, თუ როგორ ადგა დედა საწოლიდან, როგორ მიუხსლოვდა იმას, მოეხვია და აკოცა... ის ისეთი შშევნიერი იყო, ჯანსაღი, როგორც წინათ... პატარამ სიხარულისაგან წამოიყვირა და გულში მავრათ. მაგრად ჩაიქრა თავისი დედილო... დედა მოეხვია ბიჭიკოს და კოცნა დიუწყო... ეს კოცნა ისეთი სასიამოვნო იყო მისთვის ისეთი... ბიჭუკელაც ეხვეოდა დედას და ტკბილს აშთორს, ტკბილის ამბორითვე უცასებებდა...“

დადი ხნის გათენებული იყო უკვე, როცა პატარამ გა-
მოიღვიძა. თვალები გააკიტა და გარეშემო ცქერა დაიწყო...
შოაგონდა ის სინათლე, ლოცვა... ადგა პატარა ლოგინიდან
და დედის საწოლს შეხედა. „იქნება დედა უკვე ადგა?“ თქვა
ბავშვი და მიუახლოვდა საწოლს. დედა-კი ფერ-წასული, ყვი-
თელი წევა ლოგინში და აღარც სუნთქვდა... ბავშვს სურდა
გაეგო, ადგება თუ არა დედა, მოეხვევა თუ არა თავის ბი-
ჭუკელის... უსათუოდ ეგრე მოხდება, უსათუოდ... იმან რომ
კუს შეკვრამდის გამოაცხადა თავისი სურვილი.

-- დედა? — დაიძახა ბავშვმა ნელის ხმით...

Ապահով սերմ.

— ଲେଖା!

କ୍ଷେତ୍ର ଶିଖିବାରେ.

შინების წენა დამუ.



— სძინავს. თქვა თავისთვის პატარაშ. ბავში მოშორდა
საწოლს და უცდიდა, როდის გაიღვაძებდა დედა.

მეზობელი ანაც მოვიდა... ოთახში როცა შემოდიოდა.
ბავშმა თითო ტუჩზე მიიდო და თქვა:

— ჩუმად! დედას ძ-ნავს!

ანა გჩერდა და შეხედა ავათმყოფს. მერე საჩქაროთ ჩი-
ირბინა იმასთან და მაჯა გაუსინჯა. ტელი ცივი ქოხდა. ანას
თვალები კრემლებით აექს... დაკივლება უნდოდა, მაგრამ
მოაგონდა პატარა და თავი შეიკავა.

— სძინავს? — თქვა ანამ, მობრუნდა ბავშისკენ და ხელი
მოკიდა. — წამოდი ჩემთან, ბიჭუკელა, სანამ გაიღვიძებს დედა.

პატარას გაყოლა არ უნდოდა... ის იდგა და რაღაცას
ფიქრობდა...

— წავიდეთ! თქვა ბავშმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, —
მაგრამ ნელ-ნელა გავიდეთ, დედა არ გავაღვიძოთ... თითის
წვერებზე დაბჯენილი მოშორდა საწოლს. მიუახლოვდა თუ
არა კარებს, კვლავ მობრუნდა, წამოვიდა საწოლისკენ და
ფრთხილათ გამბორა გაციებულ ხელს...

— იძინე დედა ტებილათ... მე შენ არ გაგაღვიძებ...
(სერბიული)

ირაკლი ფერაძე.



ქურდის დედა.



თელი ენკენისთვე უინელლიანი იყო, ამის გამო კაკლების ბერტუვა გვიანდებოდა და ძალზედ შემოსული კაკაღი, ოდნავ ქარის ამოსისინებაზედ, ძირსა სცვივოდა, ბებერი მებაღე შიო გაუთენებლივ დგებოდა, „ნაქარის“ ასაკრეფათ და თუმცა თავით-ფეხამდე სცელდებოდა ზემოდან წვიმით და ქვემოდან კაკლებ ქვეშ ბალაში ბორტიალით, მაინც პროლივით დაქროლილ კაკლებს არავის მოსაპარათ არ უშვებდა და მუჟაითათ ჰქონდავდა.

ერთ დღისას, როდესაც წვიმა უფრო ძრიელ უშხაპუნებდა შიო მებაღის პაწაწინა ფანჯრის შუშას და თან ქარის მძლავრი გრიალი აზრიალებდა ქოხის სახურავს, შიომ ვეღარ ვაბედა ადრიანად კაკლების ასაკრეფათ ვასელა და დარდიანად ვიშვიშობდა: — რამდენი ეყრება, რამდენი! ვინ იცის სოფლის გოგო-ბიქები კიდეც ჰქონდენ და მე კი მუხლები აღარ მომდევს რო გავიდე. ეჭ, ეჭ! ცუდია. დავრდომილება, სიბერე... მაგრამ როგორც იქნება უნდა გავიდე.

შიომ თავზედ გრძელ ბალნიანი ქუდი ჩამოიფხატა; ტანზედ თავის დაძონძილი რუსული ფარავა წამოისხა, ცალ ხელში დიდი კეტი აიღო, მეორეში კალათი და კაკლებისკენ იბრუნა პირი. ოჭ, რა ლამაზები იყვნენ ამ წვიმიან-ლრუბლიან აშინდშიც შიოს ახოვანი კაკლის ხეები! რა მედიდურათ და ამაყათ გაღმოყურებდნენ წინ გაშლილ ვენასს და ლამაზ არე-მარეს და რა ძრიელ უყვარდა ბებერ შიოს ეს კაკლებიცა და მათ

გარეშემო მიღამოც თავისის ხასხასი მწვანით, მწვანე ხაშუაში მისამართით გამოიყურებოდა და ამის სიბერის გამოისობით დანის-ლულ თვალებსაც არ ემაღებოდა ასაკრეფათ.

შიომ ბერ-კეტი ერთ ერთ ხეს მიაყუდა და ის იყო უნდა ჩამჯდარიყო კაკლის საკრეფათ, რომ მეორე კაკლის ქვეშ კაკლით სავსე კალათი დაინახა, ჩილინგდრინთ ვანუას ეს სავსე კალათი აქ მიედგა და თითონ კიდევ ჯიბე-უბეს ისევბდა წუხანდელ ქარიშხალისაგან ნაბერტყ კროლა კაკლებით.

შიო ნელა-ნელა მიეპარა სავსე კალათს და ის იყო ხელი უნდა დაევლო ასაღებათ, რომ ვანუამ დაინახა, აფთარივით დაეცა მოხუცს, ხელი ჰქრა და სველ ბალახებზედ წააქცია და სავსე კალათით ხელში, ლობეს თავს გადაევლო და მიიმაღა.

— ოჟ, ოჟ! უე არამხადავ, წუწყის შვილო! ბუტბუტებ-და მთლად გაწკუმპლული შიო და თან დათხუნულ ხელებს ჭარაჯის კალთებზედ იწმინდავდა.— ქურდობაზედ დაგიჭირე და კიდევაც შენ დამჯამნე! დაიცა, დაიცა! მე გიჩვენებ შენ სეირს, ყაჩალათ გაჩენილო, უსაქმურო მაიმუნო!

ვანო კი დაკროლილის კაკლით სავსე კალათით შინ შოუკარდა თავის დედას, საჩქაროთ მიახახა: — დამმალე, ჩქარა დამმალე, თორე შიო მებალე უკან მომდევს!

— უკან მოგდევს? ვითომ რას წაიღებს! „ნაქარს“ ვინც მიასწრებს იმისია. აბა ხმა გაგცეს! შენ ფიქრი ნუ გაქცს, არ-ხეინათ იყავ. მოვიდეს, მე ვიცი ჩემგან რა პასუხსაც მიიღებს.

უთუოთ ეს ჩვეულება „ნაქარის“ შესახებ შიომაც კარგად იცოდა, თან აშარი მართას ხასიათიც გაგონილი ჰქონდა და ქურდს აღარ გამოეკიდა.

დარი კი ისევ საშინელი იღვა, წვიმდა და წვიმდა განუყრელათ და კაკალი ტყუილა უბრალოთ იბნეოდა. სველ ხეზედ ასელას ვერავინ ბედავდა, აბა თითონ უკვე წელში მოხრილი შიო ხომ არ ავიდოდა. ხელის მოქნევას მძლავრი მარჯვენა უნდა და გამჭრიახი თვალი, მსხმოიარე ტოტების გასაღაბავათ.

მეორე დილას შიო ადრე ადგა და თავის ბერ-კეტით და კალათით კაკლებისკენ გაემგზავრა, მაგრამ ვანუას დაესწრო მოხუცისთვის და ის უკვე გატენილი უბეებით ღობეზედ იღვა

გადასახტომათ და აქედან ბებერს დასკინოდა: — დაიგვიანე, ბატონო შიო, დაიგვიანე! დაკროლილები უკვე ჩემ უბეში ალაგია და შენ ჩენ ჩინებით ისაუზმეო და გაცურტბლა.

შიოს სიანჩელე-ახრიობდა, მზად იყო თავტელი ბიჭი შუა-
ჰედ გაეგლიჯა, მაგრამ რას გააწყობდა, სამოცი წლის კაცი
ბალას როგორ აუქიელდე, ბუტბუტებდა შიო და სახლში
კვლავ ცარიელი ბრუნდებოდა.

მესამე დღეს შიო ლამიანათ ადგა და კაკლებ ქვეშ და-
მალა, უფრო დიდ და ფესვ განიერ კაკლის ხეს ამოეფაზა და
კეტილ ხელში იწყო ქურდის ზერა.

აი ინათლა თუ არა, ჩილინგდრიანთ ვანუა შალვარ და
კარწახებული, წელზედ დიდ პარკ ჩამოკიდებული, ღობილან
ვადმოხტრა და ძირს ვაფენილ კაკალს ხტუნვა-ხტუნვით და
ლილინით დაუწყო კრეფა, მერე ვეღარ მოითმინა, ძირს დაჯდა,
კაკალი ვატეხა და რძიანი ნიგვზით პირი ვამოიმსო. შიომ
დრო იგდო, მიეპარა და კისერში ხელი წაავლო: — აი შე
ძალლო, შე ავაზაკო შენა! აბა ახლა უყურე შენ სეირს და
მართლაც უუდი დღე დააყარა დაუპატივებელ და თავხედ
სტუმარს: ყურები ძალზედ დაუსრისა, კისერში რამდენჯერმე
მუჯლუგუნი წაჟერა, პარკი და აკრეფილი კაკალი წაართვა და
შინ ღრიალით გაისტუმრა. — წალი და სადაც შენი სოქვა, ჩე-
მიც იქ უაშპერ.

— ი შე გდებრო ქოფაკო, შე ავთ სული, უღმერთო
ადამიანო! როგორ ხელი არ გავიხმა რომ ჩემ ობოლს ყურები
და თმები დააგლიჯე! საშინელის წილკობით მოექრა შიომის
ვანუს დედა, მართა და გააფთრებული კრუხივით მხარ იყო
თაქვ დასცემოდა და თვალები დაეჩიჩქნა შებალისათვის.

შიო მრისხანეთ იყო თავის კომისალზედ დაბჯენილი და პასუხს არ ძლევდა გაანჩხლებულ დედაკაცს, მირთმ თავის გულის წყრიმა მარტო წყველა-კრულვით დაასრულა და გაპრინცია. ვანუა იქვე ბაღის ლომის ძირის იჯდა და თავის დედის გამოქამავების ყურს უგდებდა და წაქეზებული კვლავ კაკლების ასაკრეფათ ექისიდებოდა და შიოს შორიდან ნიშნს უგდებდა:— მოიცა ხვალ როგორ ივალები დაგიყენო, ახლა ზედაც ივალ და ისე მოვკრევ და ამა თუ ბიჭი ხარ და ზემოთაც ამომყევი!



და ასე მთელი ერთი კვირა გასტანა ამ მებალეს ქურდის უკან დევნამ, მოთმინების საზღვარი აუკსო და ბერიყაცის მრისხანებამ საშინელი გადაწყვეტილება მიიღო: — თუ შიში არ მივეცი სულ თავზედ დამასხდეაინ, ბუტბუტებდა შიო და თან კედლიდან თავის ძევლის-ძევლ კააინ თოფს იღებდა; დიდი ხნის უხმარებელი, დაქანგებული გაწმინდა, გაპუერა, საპირის წაბლეს თოფის წამალი დააყარა, ფალიაზედ ორიოდ საფანტი ჩადო და კაერი ფეხზედ დააყენა.

— დაიცადე, არამზადავ, თუ დედაშენი შენზედ არ ავატირო და კაცი არ ვყოფილვარ. და შიო მებალე არა მრჯევია! და ასე შეიარაღებული მეორე დილას საბრძოლველათ გავიდა. ვანო უკვე დატვირთული იყო და გაქცევის მაგივრათ კვლავ განგებ შედგა ლობეზედ და კვლავ ლაზლანდარობა დაიწყო. შიომ ცალ მუხლზედ დაიჩოქა, უკან მოფარებული თოფი წინ წამოილო და თვალის დახამხამების უმალ თოფშია ჭახანი მოილო. ვანუა მოსხლეტით ლობეს იქით გადავარდა და წივილ-კივილი დაიწყო: — ვაიმე ფეხი, ფეხი მომწყვიტა ამ ურჯულომ, ფეხი, დედილო, დედილო მიშველე!

შიომ კარგად იცოდა, რომ მარტო თოფის წამლით გატენილი თოფი დიდს ვნებას არ მიაყენებდა ქურდბაცაცა ვანუას და არხეინად გადასძახა: — დეე, ქურდის დედამაც გაიგოს, რომ ცუდყაცობაზედ შვილის გახელება დაუსჯელათ არ დარჩებაო და იტიროს...

აი წელსაც ენკენისთვის დდეებია, მაგრამ შშვენიერი ბრწყინვალე მზით არის გაჩაღებული არე-მარე. შიოს კაკლები ჩვეულებრივ მედიდურათ სდგანან ხეებზედ და გარეშემოს ამაყად გაღმოჰყურებენ, ახლო-მახლო მორაკრაკე წისქვილის რულუნ-ჩუხხუბით ჩაურბის იმ სერს, რომელზედაც კაკლები სდგანან და თავისის პარმონიით სრულს ჰყოფს იმ შემოდგომის საოცნებო სურათს. შიოც კარგ გუნებაზეა, ნაყოფით დატვირთული ხეები გულს უხარებენ მოხუცს. ის პირზედ ღიმილით უზის ხეების მოახლოვებით აგუზუზებულ ცეცხლს და სართვლო სადილს ამზადებს, ზედაღგარზე დიდის ქვაბით თხის ხორცი იხარშება და შიო ყვითელ კომშს სტლის იმის შესაზავებლათ. სამწვადეებს ჯოხის შამფურებზედ აგებს, არყის

ბოთლებს თავის ბულულში აფარებს, რომ კაკლის ბერტყის გათავებამდე არავინ ამოუწუწნოს.

„მბერტყავი უზმოთ უნდა გავიდეს ხეზედ, რომ არ დამძიმდეს და თავს-ბრუ არ დაესხას, მუშაობის შემდეგ კი ღმერთი ყველაფერს შეარგებს ფიქრობს ის თავის გულში და თან ცალ თვალს მკრეფავებს არ აშორებს. — ჯერ აკრიფონ, ხვავი დააყენონ და მერე ყველას მე თითონ გაუნაწილებ გასამრჯელოთ.

მეზობელი დედაკაცები, თავიანთი გოგო-ბიჭებით სიცილ-ხარხარით და ლაზლანდარობით ჰკრეფენ დაკროლილ კაკალს, რომელიც სეტყვასავით ჩამოდის და ხავერდივით გაშლილ მწვანეზედ მარგალიტივით იფინძბა.

გამოცდილი კაკლის მბერტყავები გაიდა, სისია, ლიამივით იქნევენ ხელს და ჰპარსავენ კაკალს, როგორც ნაყოფს ისე იმის ტურფა მწვანე სამოსს.

მეზობელ ვენახში მართა ყუდროზედ ზის და თავისი ძვირფასი ვანუას თავი კალთაში უდევს. არც დედა და არც შვილი ხმას არ იღებს. ორთავეს თვალ-წინ უდგათ შარშანდელი კაკლის ქურდობის ამბავი და ოხრავენ. მეტადრე მართაა გამშრალი. — მას აქეთ „ქურდის დედას“ მეძახიან, ფიქრობს ის — მთელი მეზობლობა იქ არის და მეკი მათში ვერ გამოვჩნდები... ვანუასაც დალი აზის!.. მარცხენა ფეხს მიათრევს.

შიოს ბალიდან მხიარული ქრიამული ისმის, ჰაერში მწვადების სუნი ტრიალებს, რთვლის შენდეგ სადილისთვის ემზადებიან და შიო ციბრუტივით ტრიალებს.

მკ. გაბაშვილისა.



შ რ პ ა

მაცხოვარი დაიბადა!
 ვარსკვლავები ზარსა რეკენ,
 ანგელოზი ნავარდობენ,
 ციმციმობენ და გალობენ;
 — „დიდება მაღალთა შინა,
 და ქვეყანასა მშეიღობა,
 კაცთა შორის სათნოება,
 ნულარ იყოს შური მტრობა!“

კმაწვილებო! ჩვენც ვევეღროთ
 ახლათ შობილს იესო ყრმისა,
 რომ ქვეყანა დაამშეიღოს,
 ამა ჩაუწყდეს ზარბაზანსა.
 ვა იესოს სწავლით ტკბილით
 კანიძსკვალოს ხალხის გული
 და განმტკიცდეს ქვეყანაზედ
 ერთობა და სიყვარული.

ბაგრატ ბეთანელი.

გ მ ლ ე ბ ი.

იქ ჭადა მთხმაურა და ია ლურჯი.
ჰეინკ.



თელი კვირა ასე გრძელდებოდა.
თითქმის მუდამ დღე საღმე უსაფრ-
დებოდნენ და თოფს ესროდნენ.
გამხმრები, გვერდებ შეცვივნულნი
და თვალებ დაყმენდილნი თეთრ
ველზედ აჩრდილთა მგზავსად განუწ-
უკეტლივ და უაზროთ დაძრწოდნენ.

მონაცირენი კი გულმოდგინეთ ყარაულობდნენ და მუყაითად
თოფს ესროდნენ. მგლები დღისით საღმე ბუჩქებს ქვეშ თავს
აფარებდნენ, დაჭრილ ადგილებს ილოკავდნენ და მეტი შიმ-
შილით სლოკინებდნენ. საღმო უამზედ კი რამდენიმე ერთად
შეყრილნი წეროებივით გამწკვრივდებოდნენ და დაუსრულე-
ბელ მინდორთა შორის უთავებოლოდ დაყიალებდნენ.

მგლები მუდამ ჰორიზონტისკენ მიიღოდნენ, სადაც ცა
სპერაჟ თოვლს თითქოს რაღაც ბოროტებით ჩამოსწოლოდა,
მაგრამ მათ მიახლოვებაზედ ის უფრო სადღაც შორით გაურ-
ზოდა და მით მშიერთ და დაღლილ უფრო მიუწვდომლათ
და ბოროტათ ეჩვენებოდათ.

სიჩუმე და მოწყენილობა სუფევდა მინდვრათ.

მგლები ხანდახან შესდგებოდნენ. ყველა ერთად გროვდე-
ბოდნენ და გრძლაუ, საზარლათ ყმუოდნენ. სევდით სავსე
მათი ყმუილი მხოლოდ ერთი ვერსის მანძილზედ უღონოდ
ჰქონებოდა, რადგან მათ არ შესწევდათ ისეთი ძალა, რომ ზე-
ცისოფეის ხმა მიეწვდინათ და იქიდან ქვეყნისათვის ემცნოთ
ვარამი თავიანთ წყლულზედ, სიცოვზედ და შიმშილზედ.

სპერაჟი თოვლი მათ მინდვრათ ჩუმად და გულგრილათ
უურს უგდებდა მხოლოდ ძირს, სოფლათ თავლაში მათ ხმა-

მგლები.

ზედ ცხენები ზოგჯერ ფრთხებოდნენ, მათი პატრონები ილან-ძლებოდნენ და წკეპლას უშესულებდნენ.

II

სალამო იყო. საშინელი ქარი ჰქონდა და ციონდა. თოვ-ლი ოდნავ შეყინულიყო და მგლების ფეხთა ქვეშ ხრაშა-ხრუში გაუდიოდა. მსუბუქი და გაყინული ნამქერი მათ წინ ზოგჯერ კვამლივით იხლაკნებოდა და დაცინვით თავ-პირზედ ეყრებოდათ. არა თოვდა და არც ძალიან ბნელოდა, რადგან მთვარე ღრუბლებთა შორის მაინც მოსჩანდა.

როგორც ყოველთვის მგლები ისევ წეროებივით ჩამწკვრი-ვებულნი მიძრწოდნენ; წინ საფანტისაგან ფეხ დაშავებული და დაღვრემილი მოხუცი მოუძღვოდათ. დანარჩენნი დაღრეჯილ-ნი და დაფლეთილნი მწკვრივათ ერთი-ერთმანეთის კვალს მოჰ-კვებოდნენ, რომ შეყინული თოვლის გაკვლევით ფეხები აღარ სტკენოდათ.

ფერ მიხტილი, ვრცელი მინდვრები და მოჩვენებასავით წამომდგარი შავი ბუჩქები, რომელთა შორის ქარი ისე თავი-სუფლათ დათარეშებდა, ჩუმათ სადღაც მისცურავდნენ. ბუჩ-ქები განმარტოვებით სიბნელეში უცებ ისე იზრდებოდნენ, თითქოს უნდა დაედევნონ და თავს დაეცნენო. მგლები ში-შით იყუჩშებოდნენ და ყველა მათგანი იმ წამს მხოლოდ ამას ჰფიქრობდნენ: „ოღონდ აქედან გავახწიო და ესენი კი თუ გინდ გასწყდნენო“.

ცოტა ხნის შემდეგ ბოსტნის გადავლის დროს მგლები თოველში ჩაფლულ საფრთხობელას წამოადგნენ.

ყველამ უკან დაიხია, ფეხ დაშავებულ მოხუცს ზედ გა-დაახტნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. ჯოხზედ დახვეულ შე-ყინულ ძონებს ღამის წყვდიაღში ფხავა-ფხუკი გაუდიოდათ.

როცა მგლები ისევ შეგროვდნენ, ერთი მათგანი, ყვე-ლაზედ უფრო მაღალი და გამხმარი, სახე დაბრეცილი, ტუჩ-დაშეებული და შიშისაგან თვალებ დაელმებული უცებ თოველ-ში უღონოდ ჩაჯდა:

— ვეღარ წამოვალ, კბილების კრეჭით წარმოსთქვა მან.

— ვეღარ წამოვალ, გარშემო თოვლი სუდარასა ჰგავს.. უს სიკვდილია, მხოლოდ სიკვდილი, წარმოსთქვა კიდევ მან, თოვლზედ თავი მიდო და გაინაბა, თითქოს ყური დაუგდოვო-



დანარჩენნი კი მიძრწოდნენ წინ, ზოგი მათგანი, თუმცა
ლონიერნი, მაგრამ შიშისგან აკანკალებულები თოვლზედ დარ-
ჩენილ ამხანაგს ზიზღით თვალს არიდებდნენ და წინისკენ ესწ-
რაფოდნენ. ის კი თოვლში იჯდა და ჩუმათ გაიძახოდა:

— გარშემო მხოლოდ თეთრია, სუდარასა ჰეგეს აქაუ-
რობა.

როდესაც მგლებმა დაუსრულებელ სერს აახწიეს ქარმა-
უფრო მყაცრათ დაპტერა და ყურა რაღაცა საშინელი ჩასწივ-
ლა. მგლები მოიკუშნენ და შესდგნენ...

ლრუბლებიდან მთვარე გამოჩნდა, უფერულათ და უსი-
ცოცხლოთ გამოაშუქა და მისკენ მიმუტრავ ლრუბლებისაკენ
ისევ გაეშურა. დაბლობიდან სოფელი წერტილივით მოსჩანდა
აქა იქიდან ცეცხლის შუქი გამოკრთოდა. მგლებმა ცხვრების,
ღორების და ძროხების სუნი აიღეს და უარესათ გაბოროტე-
ბულნი ხარბათ სუნთქავდნენ.

— იქ წავიდეთ, იქ! სულ ერთია!.. კბილების კრაჭუნით
გაიძახოდნენ ახალ-გაზრდანი და უინისაგან გაგანიერებულ
ცხვირის ნესტოებს აცახცახებდნენ.

მაგრამ კოჭლი მოხუცი ნებას არ დაჰყვა.

იქიდან მათ ზვავებს გზა აუკიიეს, ღელეს გავიდნენ და
ქარს პირდაპირ შეეყარნენ. ორი უკანასკნელნი დიღხანს კი-
დევ იხედებოდნენ, სოფლიდან გამომკრთალ შუქს გაჰყურებ-
დნენ და თან კბილებს აკრაჭუნებდნენ.

— უ... უ... შეჩვენებულებო, გაჰყმუოდნენ ისინი. უ...
უ... შეჩვენებულებო!

III

მგლები დინჯათ მიაბიჯებდნენ. უსიცოცხლო მინდორი
მკრთალი თვალებით შესკეროდა მათ; ზემოდ ოდნავ რაღაცა
ბრწყინავდა, ძირს გესლიანათ ხნული შეუოდა და გარშემო
ყველაფერი ისეთი სახით იცქირებოდა, თითქოს იმას ღალა-
დებდა, რომ იქიდდან არავის გაქცევა, არასოდეს არ იქნებო-
და, მხოლოდ უნდა წყნარათ, მკვდარივით გატვრენილიყო და
ყური ეფდო...

მგლები შხვლოდ ეხლა მიხვდნენ, რომ ჩამორჩენილი
ამხანაგი მართალი იყო, რომ თეთრ უდაბნოს კეშარიტათ
სძულდა ისინი, სძულდა მათი სიცოცხლე. მათი უაზრო წან-

წალი. ისინი გრძნობდნენ, რომ ის სივრცე დალუპაჭდ, მაგრა დამარხავდა მათ, რომელიც ისე დაუსრულებლათ გაწოლილიყო. უიმედობა იცავდა მათ, მოთმინება ეკარგებოდათ.

— სად მიგყევართ, სად! — ეკითხებოდნენ ისინი მოხუცს — იცი კი განა შენ გზა და კვალი? გაგვიყვან საღმე? — მოხუცი სღუმდა. მხოლოდ როცა ყველაზედ უფრო ახალ-გაზრდა და სულელი მეტის მეტათ ჩამოაცივდა, მან მოიხედა, გაბოროტებით მივარდა და ფაფართან, პასუხის ნაცვლად უკბინა.

მგელმა შექმლუვლა, განწედ გავარდა და სიწარით ფხვიერ თოვლში გაწვა.

რამდენჯერმე კიდევ მოხდა მაგდარი მკაცრი და უაზრო ჩხუბი. ერთხელ უკანასკნელი ორი ჩამორჩნენ, რაღან მათ ის ეზმანათ, რომ იქვე გაწოლა და სიკვდილი ყველასა სჯობდა. სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ გრძლად გაღმუვლეს, არე მარე საზარელი ხით გაავსეს და როდესაც შორს ვაიხედეს და წინ წისულნი სიბნელეში ძაფის ოდნავ გამომეტალნი დაინახეს, ცის ქვეშ მარტო განწირულებმა ისეთი შიში განიცადეს, რომ კბილებ დალესილ და გაბოროტებულ ამხანაგებს ერთ წამოეწივნენ.

IV

განთიადს საათ ნახევარი და უკლდა. მოხუც მგელს ხროვა შემოახვევოდა. საითაც უნდა მოეხედა. ყოველ მხარეს წამოგრძელებულ ცხვირებს და ანთებულ თვალებს ხედავდა. იგი გრძნობდა, რომ რაღაცა ბნელი ისე მძიმედ, ჩამოსწოლოდა, რომ მისი ოდნავი განძრევა მტკრათ იქცევდა და გასრესავდა.

— სადა ვართ, სად? უკანიდან დაკავებული და მით უფრო ბოროტებით აღსავს წყნარი ხით ვიღაცა ეკითხებოდა.

— როდის მივაღწევთ რასშეს და საღმეს?

— ამხანაგებო, ვაიძარდა მოხუცი — ჩვენს გარშემო უსრულებელი მინდვრებია, თავის დახწევა ეგრე აღვილათ არ შეიძლება, ნუ თუ გგრძიათ, რომ დასაღუპათ მიმყევხართ თქვენ და ჩემი თავიც? მართალია, დანამდვილებით არ ვიცი. საითკენ უნდა წავიდეთ, მაგრამ მითხარით, გზა კეშმარიტი რომელმა იცით?



ლაპარიკის დროს მოხუცი თრთოდა და მოხუცებრაზ-ყველა იქით იხედებოდა. პატივუცემულ და გათეთრებულ მოხუცის კანკალი ყველაზედ მძიმეთ და უსიამოვნოთ მოქმედებდა.

— მაშ შენ არ იცი განა, როდესაც უნდა იცოდე? და ლმუვლა ისევ იმ გაბორობტებულმა ხმამ და სანამ მოხუცი პირს დაალებდა, მან ყელ ქვემოთ უცებ რაღაც მწარედ იგრძნო.... მის პირდაპირ ერთი ადლის მანძილზედ ბოროტებით აღსავს თვალები აენთნენ და მიხვდა რომ იღუპებოდა. მახვილი და ბასრი კბილები ათასობით მიესივნენ, დაუწყეს გლეჯა, შიგნეულობას იბრუნებდენ და ტყავს ნაკერ-ნაჭრათ ფლეთავდნენ. ყველა ერთად დაგორებულ გორგალივით შეიკუმშა, ერთი ძალით ამოძრავდა. შეწებული ხროვა ყბას მძლავრათ ამოძრავებდა, დრო და დრო თვალებს აბრიალებდა, იღრინებოდა და კბილებს იკრაკუნებდა. ბოროტება და ნაღველი სუფევდა იმ ერთ ადგილს, რომელსაც ქარი ვერა ჰუანტავდა. ნამერი ახლო თითქოს დაკინვით ზუზუნებდა, შორით მიჭროდა და ფაფუქ ზვავებს აყნებდა ბნელოდა...

ათი წამის შემდეგ ყველა დასრულდა... თოვლზე აქა-იქ ნაფლეთები ეყარა; სისხლის წვეთებს ოდნავ ორთქლი ასდიოდა, მაგრამ ისიც მალე წაიშალა. თოვლიდან მარტო კბილებ დაკრეკილი და ენა მოწენკილი მოხუცის თავი მოსჩანდა... უაზროთ გამომჟრთალი მისი თვალები ნელ-ნელა იყინებოდა. მოქანცული მგელის ხროვა იმ ადგილს შორის გაუჩრბოდა, სხვა და სხვა მხარეს იფანტებოდა, მაგრამ ისევ მალე გროვდებოდნენ, უკან იხედებოდნენ და წყნარათ წინ მიძრწოდნენ; მიღიოდნენ ნელა, თუმცა არც ერთს მათგანს არ ესმოდა საით და რისთვის. წინამძლოლის გამოხრულ ძელებს თითქოს რაღაცა დაჰფარებოდა და ხროვას შორის, ცივ სიბნელეში ერეკებოდა. ყველა ნიშნებს კი თოვლი სამუდამოთ შლიდა.

ორი ახალ გაზრდა მგელი ათი ნაბიჯის სიშორით თოვლში გაწენენ და ღმუილს მოჰყვნენ. მათ სისხლის წვეთები პირზე ნემსებივით ეყინებოდათ, რადგან ისინი დასისხლიანებულ კბილებს არ ილოკავდნენ.

მათ ქარისაგან თოვლი სახეში ეყრებოდათ, მაგრამ მყულოსკენ თავს არ იბრუნებდნენ... დანარჩენებიც გაფანტულნი

აქა-იქ გაწვნენ და ყმუილს მოჰყვნენ. ზოგი მათგანი ჭარბი ტოვებით ყმუოდა და თუ როგორმე ერთი მეორეს წაწყდებოდა, პირს არიდებდნენ და სხვა შხარეს იცეირებოდნენ.

მათი ყმუილი მრავალ მხრივ ისმოდა, მაგრამ ქარი დაცინვით და ბოროტებით აქეთ-იქით უგზო-უკვლოთ ჰფანტავდა. არა სჩანლა რა, მაგრამ ხმა კი მინდვრათ ისეთ ნაირათ ისმოდა, თითქოს მინდორი თვითონ კვენესოდა.

(თარგმანი)

ცქვიტი.

რა უგალობა ბულბულმა.



რო დიდ ქალაქის მაგარ და ვიწრო საბყრობილეში ღამწყვდეული იყო საბრალო ტუსალი.

ბოროტმა აღამიანებმა შებოკეს და ჩააგდეს ამ საბყრობილეში.

საბყრობილე ბნელი, ნოტიო და ცივი იყო, ტუსალს საწოლად მიუგდეს სველი თივა, ცალიერ პურზე და წყალზე ჰყავდათ. საბრალო დიუ ხანს იყო ღამწყვდეული. მზე იშვიათათ შეაშუქებდა მის ვიწრო ფანჯარის, სუფთა ჰაერს სრულებით მოკლებული იყო. მუდამ გაფითრებული, ავათმყოფი და ნალვლიანი იყო. მწა-

რე ფიქრები ერთი მეორეზე უარესი ერეოდა თავში. იგონდებოდა თავისი ნათესავები, საყარელი შვილები, ეგონა, რომ ყველამ მიიღიწყა, მკვდარი ჰგონიათ, ნალვლით გაიძახოდა: ნეტა რა ხდება ჩემ სამშობლოში!

ერთხელ ის მიუახლოვდა სარქმელს, ზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, ტყისკენ მზე ჩადიოდა, მთა-გორაკები მოუითანოთ განათებული იყვენ. ხალხი ქუჩებში მიღი-მოდიოდა. საბყრობილე მღლობზე იდგა და იქიდან აღამიანები პატარებათ მოჩანდენ. ტუსალი იქიდან მოჰყვა ყვირილს, მაგრამ მისი ხმა



ଅରୀଗିଲେ ଯେମନ୍ଦା. ଲୁହରଜ ପାଠେ ଫରିନ୍‌କ୍ଷେଲ୍‌ପଦ ନାହାରଦନ୍‌ଦର୍ଶକ. ମିଳିଲୁହରଜଙ୍କ ଶିଳ୍ପିଙ୍କମା ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରାମା.

— ଅର୍ଥିଗୁରୁ, ଅର୍ଥିଗୁରୁ! ଦାଉୟଗିରା ତୁମ୍ହିରା ମାତ୍ରମା— ହାମିଜ୍ଞେକ ଫାନ୍‌ଜାରାଠେ, ମିଳିଲ୍‌ପଦ ରା ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ. ମିଳେର୍କୁ ରାମ୍ଭ!

— ଶେଣି ଫାନ୍‌ଜାରା ମେ ବେର ଦାମିର୍ଯ୍ୟେ, ଉପାଶ୍ଵକା ଅର୍ଥିଗୁରୁମା.— ବେର ଗାନ୍ଧିଲୋକ, ରାଜୁ ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ, ମିଳିଲ୍ମା ରାମ ଦୀର୍ଘ ବେଶିରାତିର ହାତିକାର. ଦୁଇଦେଶ ବିକ୍ରେତ୍ରେ ମାଲାଲ କଲାପକ୍ଷେ ଲା ମୁଖିର ପୁଷ୍ପରୂପୀବିଶି, ବାରାତ୍ ମାରିପ୍ରାତି ପାତ୍ର ବେର ମିଥ୍ୟଦେଶ ଲା ବେର ଗାନ୍ଧିନାଦୁଗ୍ଧର୍ବେଶ ଦୁଇଦେଶ. ମେ ବେର ବିମଲେର୍କୁ, ରାଧଗାନ୍ ତାଙ୍କିର ଦେଇଶି ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ ଅରୀ ବିମଲେର୍କୁ. ମେ ଶୁଣ ମାଲାଲ-ମାଲାଲ ଦାଵତ୍ ରିନ୍ଦାଙ୍ ଲା ହେଠି ବିମଲେର୍କୁ ଯେମିଳି ମେଲାନ୍ତି ପ୍ରାଚୀନ ମିଶ୍ର.

ଦା ଅର୍ଥିଗୁରୁ ଫରତା-ଫରତା ମଦଲାଜାରାତ ଶେମିକ୍ଷେରୀରା, ତାମିଳମିଶ୍ରନ୍ତ ମାଲାଲ-ମାଲାଲ ପୁସ୍ତକ ବିମାରତା ଲା ବିନ୍ଦର୍ପ୍ରଶି ମିଳିମାଲା.

ତୁମ୍ହିରାନ ତାଙ୍କିର ମିଳିକ୍ଷେରୀ ଗ୍ରେଲ୍ସ.

— ଗ୍ରେଲ୍ସ, ଲାମାନ୍ତି ଗ୍ରେଲ୍ସ! ମିଳିଲ୍‌ପଦ ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ, ମିଳେର୍କୁ ରାମ୍ଭ!

— ଅରୀ, ଉପାଶ୍ଵକା ଗ୍ରେଲ୍ସ,— ବେର ଗାନ୍ଧିଲୋକ ବେରାଟ୍‌ର୍‌କୁ ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ, ମେ ପୁଷ୍ପରାଙ୍ଗ ମେଲାନ୍ତି ଲ୍ରେଟ୍‌ର୍‌କ୍ଷେତ୍ରାତା ଶିରକିରି, ପ୍ରିୟ, ଅନ୍‌କାରା ପ୍ରିୟାଲିଶି. ରାମେଶ୍‌ବାବୁ ପ୍ରିୟାଲି ଏଲିମନ୍‌ଟ୍ ବିନ୍ଦିରିଶରାତା ଏଲାପକ୍ଷେ ମେ ଶୁଣିପାଇ ଗାନ୍ଧିନ୍‌ଦେଶ ଦେଇଲିର ରାମେଶ୍‌ବାବୁ. ବେର ବିମଲେର୍ ଶେନ— ମେ ମେଲାନ୍ତି ବିନ୍ଦିରିଶିଲିଶି ଶିଳ୍ପିଙ୍କମା ବିମଲେର୍କୁ...

ଗ୍ରେଲ୍ସ ଗାପୁରିରୁ ଶେରିଶି ତାଙ୍କିର ମାନ୍‌ପାର୍କ ତେବେଳି ଫରିତାର ଭାବରେ.

— ଦେଇଦୁଇର୍କୁ ଦେଇଦୁଇର୍କୁ! ତାଙ୍କେନ ମାନ୍‌ପ ହାମିଜ୍ଞେକିତ ଫାନ୍‌ଜାରାଠେ! ମିଳିଲ୍‌ପଦ ରା ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ, ମିଳେର୍କୁ ରାମ୍ଭ!

— ପ୍ରିୟ, ପ୍ରିୟ! ରାମ ଅରୀ ଗ୍ରେଲ୍ସ. ଶୁନିଦା ମାର୍କପ୍ରଲେବି ବିକ୍ରେତ୍‌ରୁତ, ରାମେଶ୍‌ବାବୁ ମେଶିକ୍ଷେପିଲ୍ୟେ ଶୁପାଦ୍ଧେତା ଦ୍ୱାଦଶିବା.

ଅମ ଦେଖିବ ନାହାରିବ ପ୍ରେରିମି କିମ୍ବର୍କନାମ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରାମା, ମେରେ ଫାନ୍‌ଜାରାର ମିଳିଲୁହରାମ ଦ୍ୱାଦଶିବା ଦ୍ୱାଦଶିବା ହାମିଜ୍ଞେଦା.

— ଗାନ୍ଧିମାରିଜାରୁ, ଦୁଇଦୁଇଲିମା! ମାରିଲାନବେଲି ପାର, ରାମ ମାନ୍‌ପାର୍କ ମିଳିଲେଶେ. ମିଳିଲ୍‌ପଦ ରା ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ, ମିଳେର୍କୁ ରାମ୍ଭ.

— ମେ ଗାନ୍ଧିଲୋକ ପ୍ରେଲାପ୍‌ର୍‌କୁ ରାଜୁ ବେଦବା ଦେଇବା-ମିଥ୍ୟାଠେ. ଗିଲେର ବିମଲେର୍କୁ, ପୁଷ୍ପରାତା ଦୁଇଦୁଇଲିମା. ଦା ମାନ୍‌ପିମା ଦିଶେତି ତ୍ର୍ୟକ୍‌ରୀଲି, ଗର୍ଭନବୀପିର୍ବି, ଶୁଲମନମତ୍‌ତ୍‌ପାର ବିମଲେର୍କୁ, ରାମ ଶାଶରାମା ତୁମ୍ହିରାନ ବିନ୍ଦିରିଶିଲିଶି ମାନ୍‌ପାର୍କ ଦ୍ୱାଦଶିବା.

— ଶୁଶ୍ରୀନ ଗାନ୍ଧିନ୍‌ଦେଶିଲା, — ଶୁଲମନମତ୍‌ତ୍‌ପାର ଦୁଇଦୁଇଲିମା, — ମିଳିଲେର୍କୁ



გრილოდა, ისეთა საამო დილა იყო! მე მივფრინდი შენ ჰერცეგი მარტინი განაკვეთი თხილის მწვანე ბუჩქზე, იქვე დია ფანჯარაზე და სულ ვუმღერდი და ვუმღერდი იმათ. შენი ბავში აკვანში იწვა მან შემომანათა თავისი დიდრონი თვალები და მკითხა: — სად არი მამა-ჩემი? შენი ნათესაობა ტირის რომ გიგანტებს. იმათ უყვარხარ, ძალიან უყვარხარ. უნდათ შენი ნახვა. ნუ ინაღვლებ. ღმერთი ხედავს, რომ დამნაშავე არა ხარ. ის ბოროტი ხალხი გაგანთავისუფლებს. შვილები სიყვარულს და ალერს არ მოგაკლებენ. მომავალ ზაფხულის ერთ სალმოს, ხეების ჩრდილში შენ მოუჯდები შენ შვილებს და უამბობ როგორ იტანჯებოდი საპყრობილები.


„იმათ შეასწავლი, რომ როდესაც გაიზრდებიან არ მისცენ ნება ბოროტ ადამიანებს ჩაიღინონ ბოროტება. ჩააგონებ იმათ, რომ ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ქმები.

შვილები შენი დაგიჯერებენ როდესაც გაიზრდებიან კეთილნი და პატიოსანი გახდებიან, უშველიან ყველა საწყლებს და ბელნიერათაც იცხორებენ.

შენც დაშვიდდები, როდესაც მოკვდები ყველა დაგიტირებს და დაგლოცავს. შენ, ნათელ დღეში მიგაბარებენ მიწას. შენ საფლავზე ვარდის ტუნი აყვავდება და მე დილდილობით გრილობებ.

(თარგმნები)

ა. წერეთლისა.



ს ა რ ჩ ე ვ ი

1916 წლის ქურნალი ჯეჯილისა.

შატარების განცოლება

ლექსები.

	№	გვერდი
ახალი წელი, ი. სიხარულიძისა	1	3
ნამქერი, მიხ. გერმანაშვილისა	2	67
მგელი და ძალლები (ეზოპიდან) ი. სიხარულიძისა	—	83
სიმღერა (სოფლური)	3	131
ძია შიოს დღესასწაული, ვ. რუხაძისა	—	150
ტყემლის ხე, მიქერალისა	4	195
სიმღერა თოხნის დროს მიხ. გერმანაშვილისა	5	259
წყარო, ვანო ჭიჭინაძისა	6	323
მუშა ქალი, მიხ. გერმანაშვილისა.	7—8	387
ნაბია და წკიპა, შიო მღვიმელისა.	9	451
რთველი, კაპანისა	—	463
ყრმებს, შიო მღვიმელისა	10	515
კატა და თაგვი, შიო მღვიმელისა	11—12	579
მათხოვარი (ათრგმანი) სავლე აბულაძისა	—	605

მოთხოვობები.

(თრიგინაფური და ნათარგმინი)

გორგალა, პატარა ამბავი, ნინო გოგნიაშვილისა	1	4
სამართალმა გაიტანა (ფრანგულით) ტასოსი.	—	8
გამქრალი მოჩვენება ეკ. გაბაშვილისა.	2	10
აბეზარი, ეკ. გაბაშვილისა	2	69
წამართვეს, სოფიო ციციშვილისა	—	86
ფინია და ნიკორა, ამბავი ბეთანელისა	—	134
ნასკვი (ფრანგულიდან) ტასოსი	5	260
კურდღლის ბაჭია, ალტავისა (თარგ.) ტასოსი—		263

	№	გვერდი
ტყუილი შიში (თარგმანი) კუდრაჭასი	6	308
წინ გველა და ტრედი	7—8	388
წინ დახედული ადმიანი	—	389
ვასიკოს დარღი, ბაგრატ ბეთანელისა	—	390
მეზობლები ლევ ლოლსტოს (თარგმანი)	—	394
ვანოს გულწრფელობა, ედუარდ პაპავასი	—	418
არწივი და ფუტკარი	9	453
როგორ უყვარდა ბობის თავისი პატრონი	—	454
ცელქები კუდრაჭასი	—	456
ლომი გალიაში, ოლ, ფალავასი	10	616
ციალა, ნინო გოგნიაშვილისა	—	518
ცისფერი პეპელას ბედნიერება (თარგმანი)		
ეკ. მესხისა	—	524
ის კონა, ბაგრატ ბეთანელისა (შემდეგი იქნება)—		534
ცელქები, დასასრული კოუანდარისა	—	539
ფეხშიშველა და კუტი	11—12	581
რას უშავებდა?! ნინო გოგნიაშვილისა	—	582
საბრალო შაქარა. ეკ ასათიანისა	—	586
ის კონა (დასასრული) ბაგრატ ბეთანელისა.	—	593

ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთის.

აკაკის ხსოვნას, გარდაცვალების წლის თავზე,		
ა. კანდელაკისა	2	75
აკაკის ხსოვნას, დასასრული	3	145

ბუნების მეტყველებიდან.

რა ვნახე სამხეცოში, (გადმოკეთებული) კუ-		
დრაჭასი	1	19
უუტკართა დედოფალი (თარგმანი) იტასი .	2	85
დედ-შველი, ნინო გოგნიაშვილისა.	—	132
უუტკართა დედოფალი (თარგმანი) იტასი .	3	151
რატომ არის ზოგიერთი ხეები ზამთარში		
მწვანე, მედია ღ - ძისა	—	191
უუტკართა დედოფალი (დასასრული)	4	214
კოწო და მისი ნაცნობები (თარგმანი) ან.		
წერეთლისა	7—8	400
კოწო და მისი ნაცნობები. ვეფხი (შემდეგი) .	9	477
კოწო და მისი ნაცნობები. ჯიქი	11—12	606

რეგები, ზღაპრები, ლეგენდები ჩვენი და უცხოეთის.

№	გვერდი
შგელ-კაცები, ინგლისური ზღაპარი აღ. ნა-	
თაძისა	1 15
გულწითელა (ესკომოსების თქმულება) ტასოსი 2	72
შგელი და ძალლები, (იგავ-არაკი) ი. სიხარუ-	
ლიძისა	— 83
შგელი, გოჭი, იხვი და ბატი	3 141
ვანო და ბალი	4 200
უენო ბელურა (იაპონური ზღაპარი) აღ. ნა-	
თაძისა	— 202
ისუმბოსი ზღაპარი გ-ს მოსეულისა.	5 267
კატა და ძალლი (იგავ-არაკი) ი. სიხარულიძისა —	277
შცივანა ვარსკვლავები, ზღაპარი იტასი.	6 324
ფერია და ზაზუნა, მედია ღ-ძისა	328
ყვავი და მამალი (იგავ-არაკი) ი. სიხარულიძისა —	336
უშვილო მეფე-დედოფალი, გ. ჭრელაშვილისა —	338
ტაქლის ხე და თხილი (იგავ-არაკი) ი. სიხა-	
რულიძისა	7—8 397
ჭვრივი ხელმწიფე, გ. დ. ჭრელაშვილისა	9 464
უეიქარი და მეფე, გ. ჭრელაშვილისა. . . 11—12	601

უცროსების განუზიღვება

ლექსები.

ზამთარი, ვ. რუხაძისა	1 28
ალილო, სოფლის სუთათი, ი. სიხარულიძისა —	36
ბალში ვნახე, ლადო გეგეჭკორისა	2 94
ტია შიოს, ია ეკალაძისა	— 124
სურათები, ძიძიგურისა.	3 160
სამშობლოს ნუგეში, ბაგ. ბეთანელისა.	— 178
ხარის გოდება, მიხ. გერმანაშვილისა	4 227
დედა, მიხ. გერმანაშვილისა	6 351
ჰაპა, შიო მღვიმელისა	7—8 425
შეკურტნეს სიმღერა, მიხ. გერმანაშვილისა . —	438
შემოდგომა, იპო ჯინორიძისა.	9 488
ვაზათხულის დილა, ი. სიხარულიძისა	10 548

მოთხოვები.

№ გვერდი

ტელეგრამა. ახალი ტელეგრამა! ან. წერეთ-		
ლისა	1	29
გაიფიცა, ჯეკ ლონდონისა თარგ. გლ-ძისა —		38
გაიფიცა გ. ლ—ძისა (დასასრული) . . .	2	99
შობის წინა ღამეს, თარგმანი ან. წერეთლისა —		118
პატარა გმირი ჰანსი (ფრანგულიდან) მედეისა —		126
პაუნა და ტანესი (თარგმანი) ეკ. გაბაშვილისა 3	3	167
ფარო, თარგმანი მარო იაშვილისა . . . —		179
სხვის ამარა, ამბავი გრ. პარკაძისა. . . .	4	228
მეფე ლირი შექსპირისა, მისი სურათით. . —		232
მაიმუნი იაკო		252
მეფე ლირი (დასასრული) ტასოსი . . .	5	299
ორი დობილი, გ. დ. ჭრელაშვილისა . . —		308
ხტუნია, კუდრაჭასი		317
ოქროს შეხება, (თარგმანი) ან. წერეთლისა. 7—8		441
შემოდგომის სურათი, სადიკოსი	9	490
ოქროს შეხება, მეფე მიდასის თავ-გადასავა-		
ლი ან. წერეთლისა		492
როგორ გავატარე ზაფხული, მიმქრალისა . —		497
როგორ გავატარე ზაფხული, მიმქრალისა (დასასრული)	10	550
ბაჭის ცრემლები, ცქვიტისა —		558
შობის წინა ღიმეს (სერბიელი ამბავი) ირაკ-		
ლი ფერაძისა	11—12	
ჭურდის დედა, ეკ. გაბაშვილისა . . . —		
შელები (თარგმანი) ცქვიტისა —		

ბიოგრაფი ჩვენი და უცხოეთის.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია,		
დათიკო იაშვილისა	1	51
ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია (დასასრული)	2	108
უილიამ შექსპირი, ბიოგრაფია ა. ლორდელის 3		187

	№	839რდი
კარმენ სილვა, ღ. კასრაძისა	3	164
თამარ მეფის დღესასწაული ეკ. გაბაშვილისა	4	243
დავით სარაჯიშვილი და მეუღლე მისი, ან.		
წერეთლისა	7—8	423
ფასდაუდებელი თავგანწირულება, ან. წე- რეთლისა	--	431
ალექსანდრე ნათაძის ხსოვნას ივ. რატიშვი- ლისა	—	439
ბუნების მეთქმელება.		
მორიელის უცნაური ჩეეჭულება, იტასი . . .	1	64
როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა, ეფ. ჭი- ჭინაძისა	3	167
როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა (დასასრ.)	4	244
მთვარის ანგარიში მის. გერმანაშვილისა.	—	251
კალია, კარლ ევალდისა დავით დონდუსი .	9	504
კალია (დასასრული)	10	566
იგავები, ზღაპრები, ლეგენდები ჩევნი და უცხოეთის.		
ქრისტე ალსდგა, ლეგენდა ალ. იასალაშვი- ლისა	3	162
ცხვრის თავა მელანია, ზღაპრული პოემა		
ილია ფერაძისა	5	289
ცხვრის თავა მელანია, (დასასრული)	6	362
რაინდი ტრანი, სერბიული ლეგენდა (თარ- გმანი) თამარ კარბელაშვილისა . . .	7—8	431
მთა და ბარი, (ლექსათ) ი. სიხარულიძისა. 11—12	705	

წლის განმავლობაში ყოველთვიურ დღი მოთავსებული
 სხვა და სხვა ამბემი, გასართობები, ანდაწები, გამოცანები,
 რეპუსები, სახუმარო ამბები და სხვ.

